საინფორმაციო ბიულეტენი №2

2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების მონიტორინგი

სექტემბერი, 2018

#საია **#მეაქვარ** **#არჩევნები2018**

საიას სადამკვირვებლო მისიის შესახებ

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების წინასაარჩევნო პერიოდის **მონიტორინგი 1 აგვისტოს დაიწყო. საია წინასაარჩევნო პერიოდს ცენტრალური და 8 რეგიონული ოფისის მეშვეობით, თბილისსა და რეგიონებში** – აჭარაში, გურიაში, სამეგრელო-ზემო სვანეთში, იმერეთში, რაჭა-ლეჩხუმში, შიდა და ქვემო ქართლში, სამცხე-ჯავახეთში, მცხეთა-მთიანეთსა და კახეთში **აკვირდება.**

მონიტორინგის მიზანს წარმოადგენს სამართლიანი და გამჭვირვალე საარჩევნო პროცესების ხელშეწყობა, საარჩევნო კანონმდებლობისა და საერთაშორისოდ დადგენილი დემოკრატიული სტანდარტების დაცვა საარჩევნო ადმინისტრაციის წარმომადგენლების, საარჩევნო სუბიექტებისა და საჯარო მოხელეების მხრიდან. ასევე, საქართველოს მოქალაქეებისა და საერთაშორისო საზოგადოების ინფორმირება 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების წინასაარჩევნო პროცესებთან დაკავშირებულ დარღვევებსა და ტენდენციებზე, ყურადღების გამახვილება საკანონმდებლო და პრაქტიკულ ხარვეზებზე. აგრეთვე, საარჩევნო კანონმდებლობაში პრობლემების იდენტიფიცირება და არჩევნების დასრულების შემდეგ შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების ადვოკატირება.

მონიტორინგის დროს განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია ობიექტური, სამართლიანი, დამოუკიდებელი და ეფექტური გამოძიების, სამართლიანი სასამართლოსა და ერთგვაროვანი პრაქტიკის დამკვიდრებაზე. ასევე, ინკლუზიური და კონკურენტული საარჩევნო გარემოს ხელშეწყობაზე ქალების, შშმ პირებისა და ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლებისთვის.

საიას მონიტორები ყურადღებას ამახვილებენ ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა: საარჩევნო ადმინისტრაციების დაკომპლექტება, ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებისა და ამომრჩეველთა მოსყიდვის ფაქტების გამოვლენა/აღკვეთა, ამომრჩევლის ნების თავისუფლებისათვის ხელშემწყობი გარემო, პოლიტიკური პარტიების დაფინანსების საკითხები, საარჩევნო სუბიექტების უფლებებისა და ვალდებულებების განხორციელება, ინკლუზიური საარჩევნო გარემო, მედიის სამუშაო გარემო და ა. შ.

დარღვევების გამოვლენის შემთხვევაში, ორგანიზაცია შესაბამის განცხადებას/საჩივარს წარადგენს საარჩევნო ადმინისტრაციაში, თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისათვის უწყებათაშორის კომისიაში, სახელმწიფო აუდიტის სამსახურსა და სხვა შესაბამის უწყებებში, კანონით გათვალისწინებული რეაგირების უზრუნველყოფის მიზნით.

წინამდებარე საინფორმაციო ბიულეტენში ასახულია ინფორმაცია 2018 წლის 4 სექტემბრიდან 23 სექტემბრის პერიოდში მომხდარ ფაქტებსა და საარჩევნო პროცესებში ჩართული უწყებების საქმიანობაზე. კერძოდ, **საანგარიშო პერიოდში დაფიქსირდა წინასაარჩევნო აგიტაციის წესების სავარაუდო დარღვევის-2, ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების - 2, ფიზიკური დაპირისპირების - 2, წინასაარჩევნო კამპანიის ხელშეშლის - 3, ჟურნალისტის პროფესიული საქმიანობის ხელშეშლის - 2 ფაქტი.**

სავარაუდო დარღვევების/ფაქტების შესახებ ზოგიერთ ინფორმაციასთან დაკავშირებით საიას დამატებით აქვს გამოთხოვილი ინფორმაცია, რომლის ანალიზის შედეგებსაც, ასევე, გავაცნობთ საზოგადოებას.

ადმინისტრაციული რესურსის სავარაუდო გამოყენება

საანგარიშო პერიოდში დაფიქსირდა ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების ორი სავარაუდო ფაქტი, რა დროსაც, ადგილი ჰქონდა დაქვემდებარებული ან სხვაგვარად დამოკიდებული პირების ჩაბმას აგიტაციაში, ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებით, მათ შორის ტექნიკისა და კომუნიკაციების გამოყენებით წინასაარჩევნო ღონისძიების ორგანიზებაში მონაწილეობა. აღნიშნულ ფაქტებთან დაკავშირებით შესაბამისი **სამართლებრივი რეაგირების მიზნით, საიამ საოლქო საარჩევნო კომისიებს მიმართა.**

?

ადმინისტრაციული რესურსის სავარაუდო გამოყენება გორში

ა.წ. 18 სექტემბერს, მედიაში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი და ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე მიხეილ გოგინაშვილი Facebook-ის დახურულ ჯგუფურ მიმოწერაში პარტიულ აქტივისტებსა და საჯარო მოსამსახურეებს საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატის – სალომე ზურაბიშვილის საარჩევნო შტაბის გახსნის ამსახველი ვიდეოს „დალაიქებას“ სთხოვს. ასევე, მიმართავს, რომ „ყველა პარტიულს და ახლობელს სთხოვონ „დალაიქება.“ გარდა ამისა, მიმდინარე წლის 10 და 17 სექტემბერს, მიხეილ გოგინაშვილი Facebook-ის საშუალებით, ეწეოდა წინასაარჩევნო აგიტაციას. შესაბამისად, მისი მხრიდან, შესაძლოა ადგილი ჰქონოდა ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებას.

ამონარიდი ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების მემორანდუმიდან

საარჩევნო კოდექსის 48-ე მუხლის 1-ლი პუნქტის ბ ქვეპუნქტის განმარტება მემორანდუმის თანახმად:

„სახელმწიფო ხელისუფლების დაწესებულებებისათვის ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და იმ ორგანიზაციებისათვის, რომელთა დაფინანსება ხდება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან, განკუთვნილი საკომუნიკაციო საშუალებების (მათ შორის ელ-ფოსტა), საინფორმაციო მომსახურებისა (მათ შორის ოფიციალური ვებ-გვერდი ან/და ბიუჯეტის სახსრებით ადმინისტრირებული სოციალური მედია) და სხვადასხვა სახის ტექნიკის (მათ შორის ზემოხსენებული საკომუნიკაციო საშუალებებისა და სხვადასხვა სახის ტექნიკის გამოყენების გზით პირად სოციალურ ქსელებში წინასაარჩევნო კამპანიის (აგიტაციის) ნიშნების შემცველი ინფორმაციის განთავსება) გამოყენება იკრძალება, გარდა პოლიტიკური პარტიებისა.“

?

ადმინისტრაციული რესურსის სავარაუდო გამოყენება ზუგდიდში

მიმდინარე წლის 21 სექტემბერს, სამუშაო საათის დროს, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდულ საქმეთა და გენდერული თანასწორობის განყოფილების ხელმძღვანელი დავით შამათავა წერილობით შეტყობინებას უგზავნიდა სტუდენდებს მასზედ, რომ შაბათს 22 სექტემბერს, 2 საათზე მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლეში იყო პრეზიდენტობის დამოუკიდებელ კანდიდატ სალომე ზურაბიშვილთან შეხვედრა და სთხოვდა მათ მეგობრებთან ერთად მისვლას.

საარჩევნო კოდექსის თანახმად:

წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობის უფლების მქონე პირს, რომელსაც სახელმწიფო ან ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებში უკავია თანამდებობა, ეკრძალება რომელიმე პარტიის (საარჩევნო ბლოკის) ან კანდიდატის მხარდასაჭერად ან საწინააღმდეგოდ წინასაარჩევნო აგიტაციისა და კამპანიის წარმოების პროცესში უშუალოდ სამსახურებრივად დაქვემდებარებული პირების და ასევე სხვაგვარად დამოკიდებული პირების ჩაბმა. აგრეთვე,წინასაარჩევნო აგიტაციის გაწევას სამუშო საათების განმავლობაში ან/და სამსახურებრივი ფუნქციების შესარულებისას.

წინასაარჩევნო აგიტაციის წესების სავარაუდო დარღვევა

?

აგიტაციის წესების დარღვევა ქუთაისში

ქ. ქუთაისის მერიის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის მოადგილე ნუგზარ ხუციბერიძე მიმდინარე წლის 12 სექტემბერს მონაწილეობდა საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატის – სალომე ზურაბიშვილის სააგიტაციო შეხვედრაში. აგრეთვე, ნუგზარ ხუციბერიძე ა.წ. 13 და 14 სექტემბერს Facebook-ის საშუალებით, სავარაუდოდ სამუშაო საათების განმავლობაში ეწეოდა წინასაარჩევო აგიტაციას. კერძოდ, მან ზემოაღნიშნულ სოციალურ ქსელში არაერთხელ საჯაროდ განათავსა პრეზიდენტობის კანდიდატის – სალომე ზურაბიშვილის მხარდამჭერი ინფორმაცია.

საარჩევნო კოდექსის თანახმად:

წინასაარჩევნო აგიტაციის გაწევისა და აგიტაციაში მონაწილეობის უფლება არ აქვთ სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საჯარო მოხელეებს – სამუშაო საათების განმავლობაში ან/და როდესაც ისინი უშუალოდ ასრულებენ სამსახურებრივ ფუნქციებს.

ზემოაღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით, შესაბამისი სამართლებრივი რეაგირების მიზნით, საიამ ქუთაისის საოლქო საარჩევნო კომისიას მიმართა.

?

სასულიერო პირების წინასაარჩევნო აგიტაცია

ბოლო დღეების განმავლობაში, მედიაში არაერთხელ გავრცელდა მაღალი იერარქიის სასულიერო პირების მიერ გაკეთებული წინასაარჩევნო აგიტაციის შემცველი განცხადებები. დაფიქსირდა შემთხვევები, როდესაც სასულიერო პირები აშკარად გამოხატავენ პოლიტიკური გაერთიანება „ქართული ოცნებისა“ და მათ მიერ მხარდაჭერილი პრეზიდენტობის დამოუკიდებელი კანდიდატის – სალომე ზურაბიშვილის საწინააღმდეგო პოზიციას. აღნიშნულთან დაკავშირებით, ა.წ. 19 სექტემბერს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა მიმართვა გაავრცელა და მოუწოდა მოძღვრებსა და მღვდელმთავრებს, თავი შეიკავონ პოლიტიკური შინაარსის განცხადებებისაგან, ამა თუ იმ პოლიტიკური პირის საჯარო სივრცეში არაკორექტული მოხსენიებისაგან და ჩრდილს ნუ მიაყენებენ ეკლესიასა და საკუთარ თავს.

მიუხედავად იმისა, რომ ცალკეულ სასულიერო პირთა მხრიდან აგიტაციის შემცველი განცხადებების გაკეთება არ წარმოადგენს კანონის დარღვევას, მიგვაჩნია, რომ სასულიერო პირებს, მით უფრო – წმინდა სინოდის წევრებს, განსაკუთრებული სიფრთხილე მართებთ პოლიტიკური გამოხატვის თავისუფლების განხორციელებისას, საკუთარი სტატუსიდან და საზოგადოების გარკვეული ნაწილის ცხოვრებაში მათი როლიდან გამომდინარე.

საარჩევნო კოდექსის თანახმად:

წინასაარჩევნო აგიტაციის გაწევის და აგიტაციაში მონაწილეობის უფლება არ აქვს რელიგიურ ორგანიზაციას.[1] ეკლესიას სპეციალური უფლებამოსილების გარეშე წარმოადგენენ: საეკლესიო კრება, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, წმიდა სინოდი და საქართველოს საპატრიარქო (ქორეპისკოპოსისა და მდივნის სახით).[2] შესაბამისად, ქორეპისკოპოს იაკობის მიერ, სავარაუდოდ, ადგილი აქვს აგიტაციას კანონის მოთხოვნათა დარღვევით.[3]

საიამ მოუწოდა რელიგიური ორგანიზაციების წარმომადგენლებს - თავი შეიკავონ წინასაარჩევნო აგიტაციის ნიშნების შემცველი განცხადებების გაკეთებისაგან, ასევე, საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას – შეისწავლოს სასულიერო პირების მიერ აგიტაციის გაწევის ფაქტობრივი გარემოებები და განახორციელოს შესაბამისი სამართლებრივი რეაგირება.

---

[1] „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 45-ე მუხლის მე-4 ნაწილის ზ) ქვეპუნქტი

[2] „საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის“ კონსტიტუციური შეთანხმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პარლამენტის დადგენილების პირველი მუხლის მე-4 პუნქტი

[3] ქორეპისკოპოს იაკობის მხრიდან მსგავსი ტიპის სავარაუდო კანონდარღვევას 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის წინასაარჩევნო პერიოდშიც ჰქონდა ადგილი, რასთან დაკავშირებითაც არასამთავრობო ორგანიზაციებმა საჯარო განცხადება გაავრცელეს და საარჩევნო ადმინისტრაციას მიმართეს, თუმცა ცესკოს თავმჯდომარემ მიიჩნია, რომ ქორეპისკოპოსის, როგორც ცალკე სასულიერო პირის მიმართვა (ქადაგება) მრევლისადმი არ წარმოადგენდა ეკლესიის სახელით გაკეთებულ განცხადებას.[3] აგრეთვე, სასულიერო პირთა მხრიდან აგიტაციის წესების დარღვევის ტენდენცია ფიქსირდებოდა 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების წინასაარჩევნო პერიოდშიც. 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების მონიტორინგის ანგარიში, საია, გვ. 19

წინასაარჩევნო შეხვედრების ხელშეშლა

საანგარიშო პერიოდში საიამ მმართველი პარტიის მხარდაჭერილი, დამოუკიდებელი საპრეზიდენტო კანდიდატის სალომე ზურაბიშვილის **წინასაარჩევნო შეხვედრების სავარაუდო ხელშეშლის ორი ფაქტი** დააფიქსირა. ასევე, ერთ-ერთ შეხვედრაზე **დაფიქსირდა ჟურნალისტებისთვის საქმიანობის ხელშეშლის ფაქტიც,** რომელიც მოგვიანებით აღმოიფხვრა და ჟურნალისტებმა წინასაარჩევნო შეხვედრის გაშუქება შეძლეს.

შეხვედრა ქუთაისში

ა.წ. 12 სექტემბერს, ქ. ქუთაისში, ლ. მესხიშვილის სახელობის თეატრში, პრეზიდენტობის დამოუკიდებელმა კანდიდადტმა სალომე ზურაბიშვილმა წინასაარჩევნო შეხვედრა გამართა. შეხვედრას საიას დამკვირვებელიც დაესწრო. მმართველი გუნდის მიერ მხარდაჭერილი საპრეზიდენტო კანდიდატის საარჩევნო პროგრამის წარდგენას იმერეთის გუბერნატორი, ქუთაისის მერი, საკრებულოს დეპუტატები, მერიის ააიპ ორგანიზაციების წარმომადგნელები, ა. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორები და ი. ჭავჭავაძის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის თანამშრომლებიც ესწრებოდნენ.

შეხვედრა საპროტესტო აქციის ფონზე მიმდინარეობდა. შეხვედრის ჩატარების ხელშეშლას ყვირილით და კონფლიქტური სიტუაციის შექმნით ცდილობდნენ "თავისუფალი ზონისა" და ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლები. ისინი შენობის გარეთ მობილიზებულნი იყვნენ პლაკატებით და შეძახილებით აპროტესტებდნენ სალომე ზურაბიშვილის დამოკიდებულებას ომის დაწყების საკითხებთან მიმართებაში, ჰქონდათ მცდელობა შეეღწიათ დარბაზში, სადაც იმყოფებოდა პრეზიდენტობის კანდიდატი, თუმცა ვერ მოახერხეს.

სალომე ზურაბიშვილის წინააღმდეგ მიმართული აქცია მიმდინარეობდა მისი შეხვედრის პარალელურად. აქციის შეხვედრის დასრულების შემდეგ, სიტყვიერი დაპირისპირება მოხდა ზურაბიშვილის მხარდამჭერებსა და აქციის მონაწილეებს შორის. დაპირისპირების მიზეზი გახდა 2008 წლის აგვისტოს ომთან დაკავშირებით პრეზიდენტობის კანიდატის მიერ გაკეთებული განცხადებები.

შეხვედრა ზუგდიდში

მიმდინარე წლის 22 სექტემბერს პრეზიდენტობის დამოუკიდებელმა კანდიდატმა სალომე ზურაბიშვილმა ზუგდიდში, მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლეში ამომრჩეველთან შეხვედრა გამართა, რომელსაც საიას დამკვირვებელიც ესწრებოდა.

მმართველი გუნდის მიერ მხარდაჭერილი საპრეზიდენტო კანდიდატის შეხვედრას საბიუჯეტო დაწესებულებაში დასაქმებული პირები ესწრებოდნენ, ხოლო სხვა პირებს, რომლებსაც სურდათ შეხვედრაზე დასწრება, დარბაზში არ უშვებდნენ.

შეხვედრაზე შესვლის პრობლემა ჰქონდათ მედიის წარმომადგენლებს: რუსთავი 2-ის, იმედის, იბერიის ოპერატორებსა და ჟურნალისტებს. დარბაზში შესვლას არასამთავრობო ორგანიზაცია „სამართლიანი არჩევნების“ წარმომადგენელიც ცდილობდა. მისი განცხადებით, „ქართული ოცნების“ მხარდაჭერები შეხვედრაზე არ უშვებდნენ და ამ დროს წაიქცა. შეხვედრაზე არ უშვებდნენ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრს მაია კალანდიას. პოლიცია მობილიზებული იყო, როგორც გარეთ, ასევე დარბაზში. მოგვიანებით, შეხვედრაზე დასწრების მსურველი პირები ზუგდიდის მაჟორიტარ დეპუტატთან ერთად დარბაზში შევიდნენ და სიტუაცია განიმუხტა.

სალომე ზურაბიშვილი პრეზიდენტობის კანდიდატად ზუგდიდში წარადგინა არჩილ თალაკვაძემ, მის დახასიათებაში მონაწილეობა მიიღო ზუგდიდის მაჟორიტარმა დეპუტატმა მერაბ ქვარაიამ.

შეხვედრის მიმდინარეობისას რეპლიკებით გამოდიოდა „ნაციონალური მოძრაობის“ წევრი მაია კალანდია, რომელიც ცდილობდა შეხვედრის ჩაშლას.

ზემოაღწერილიდან გამომდინარე, საია მიიჩნევს, რომ დაუშვებელია როგორც საპრეზიდენტო კანდიდატის შეხვედრებისათვის, ასევე, ჟურნალისტების საქმიანობისათვის ხელის შეშლა.

სააგიტაციო მასალის განთავსებისთვის განკუთვნილი სტენდები დაგვიანებით დაიდგა ბათუმში

ა.წ. 8 სექტემბერს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო განკარგულება №66 „საქართველოს პრეზიდენტის 2018 წლის 28 ოქტომბრის არჩევნებისთვის საარჩევნო - სააგიტაციო მასალის განთავსებასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხის მოწესრიგების შესახებ“, რომლითაც განისაზღვრა ადგილები სტენდების დასადგამად, რათა საარჩევნო სუბიექტებს ჰქონოდათ შესაძლებლობა სააგიტაციო მასალის განსათავსებლად.

მითითებული განკარგულების აღსრულება და ამ მიზნით შესაბამისი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ღონისძიებების გატარება დაევალა ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას, მაგრამ კანონმდებლობით განსაზღვრულ ვადაში ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელმა ორგანომ არ უზრუნველყო ამ ვალდებულების შესრულება, რითაც დაარღვია საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“-ს 46-ე მუხლის მოთხოვნები, რომლის მიხედვითაც განსაზღვრულია, რომ სააგიტაციო მასალის გასაკრავად და გამოსაფენად გამოყოფილი ადგილების ან/და დადგმული სტენდების თაობაზე ინფორმაციას ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები აქვეყნებენ არჩევნების დანიშვნიდან არაუგვიანეს 10 დღისა.

საიას მონიტორებმა აღნიშნული ინფორმაცია მიმდინარე წლის 18 სექტემბერს გადაამოწმეს, რომლის საფუძველზეც გამოიკვეთა, რომ სტენდერი არ იყო განთავსებული ბათუმის საკრებულოს განკარგულებით განსაზღვრულ შემდეგ მისამართებზე: ევროპის მოედანი, საოცრებათა მოედნის მიმდებარე ტერიტორია, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის წინ (მის: ქალაქი ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. №25) არსებული სკვერი, ნ. ბარათაშვილისა და ი. ჭავჭავაძის ქუჩების კვეთაში, ეკლესიის მიმდებარედ არსებული სკვერი, ახალ ბულვარში რესტორან „აჭარული სახლი“-სა და რესტორან „კოშკი“-ს მიმდებარე ტერიტორია, ახალ ბულვარში აკვაპარკის მიმდებარე ტერიტორია, ახალ ბულვარში ამფითეატრის მიმდებარე ტერიტორია.

ზემოაღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიამ განმარტა, რომ მათ არ დაურღვევიათ საქართველოს ორგანული კანონის საქართველოს საარჩევნო კოდექსის 46-ე მუხლის მე-5 პუნქტით დადგენილი მოთხოვნები, ვინაიდან მითითებული მუხლში გამოყენებული კავშირი ან/და არის ალტერნატიული შინაარსის და კანონმდებელი არ აწესებს სპეციალურ ვადას სტენდების განსათავსებლად.

აღსანიშნავია, რომ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიამ არსებული პრობლემა მოაგვარა მას შემდეგ, რაც ზემოაღწერილი ფაქტით დაინტერესდნენ მედიისა და სადამკვირვებლო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

ფიზიკური დაპირისპირების ფაქტები

საანგარიშო პერიოდში ფიზიკური დაპირისპირების 2 ფაქტი გამოიკვეთა, რა დროსაც ადგილი ჰქონდა ქართული ოცნებისა და ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლების ფიზიკურ დაპირისპირებას ქუთაისსა და თიანეთში. ქუთაისში ფიზიკური დაპირისპირებისას, ასევე გამოიკვეთა ჟურნალისტებისათვის პროფესიულ საქმიანობაში ხელშეშლის ფაქტი. საია გამოეხმაურა ქუთაისსა და თიანეთში მომხდარ ძალადობრივ ინციდენტებს, აგრეთვე, ქუთაისის ინციდენტის დროს ჟურნალისტებისათვის ხელშეშლის ფაქტს.



ფიზიკური დაპირისპირება თიანეთში

მედიაში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ა.წ. 15 სექტემბერს ფიზიკური დაპირისპირება მოხდა თიანეთში, სადაც ერთმანეთს „ქართული ოცნებისა“ და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მხარდამჭერები დაუპირისპირდნენ. ამავე ინფორმაციის თანახმად, დაპირისპირება „ქართული ოცნების“ აქტივისტის, საქართველოს პარლამენტი წევრის, ზაქარია ქუცნაშვილის ბიუროს თანამშრომელი რომა ფაშურიშვილის მიერ გაერთიანებული ოპოზიციის პრეზიდენტობის კანდიდატის, გრიგოლ ვაშაძის პლაკატის ჩამოხევას მოჰყვა. საიას დამკვირვებელმა აღნიშნული ინფორმაცია დაპირისპირებულ მხარეებთან გადაამოწმა.

ნაციონალურ მოძრაობაში განაცხადეს, რომ ფაშურიშვილმა გრიგოლ ვაშაძის პლაკატები ჩამოხია და Facebook-ის გვერდზე განათავსა. მათი განცხადებით, ეს არის გრიგოლ ვაშაძის პლაკატების ჩამოხევის პირველი შემთხვევა და ისინი საკადრის პასუხს გასცემენ მათი კანდიდატის კამპანიის ხელშეშლის ყველა შემთხვევას, მათ შორის ფიზიკურადაც.

აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით საქმე აღძრულია 156-ე მუხლით, რაც დევნას გულისხმობს. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ აქტივისტს დავით ჯიმშიტაშვილს ქართული ოცნების აქტივისტთან დაპირისპირების გამო სასამართლომ 3000 ლარიანი გირაო შეუფარდა.

ფიზიკური დაპირისპირება ქუთაისში

აწ. 19 სექტემბერს, ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის დაწყებამდე, ერთმანეთს საკრებულოს უმრავლესობის წევრი იმედა საღინაძე და "ნაციონალური მოძრაობის" დეპუტატი გია უკლება დაუპირისპირდნენ. დაპირისპირება საკრებულოს სხდომათა დარბაზში დაიწყო, რის შემდეგაც ხელჩართული ჩხუბი დერეფანში გაგრძელდა. ჩხუბში ჩაერთნენ და გია უკლებას სახის არეში ურტყამდნენ საკრებულოს უმრავლესობის დეპუტატები „ქართული ოცნებიდან“ კახა ბოჭორიშვილი და ნიკოლოზ ჩეჩელაშვილი. ფიზიკური დაპირისპირების შედეგად საკრებულოს "ნაციონალმა" დეპუტატმა" სახის არეში დაზიანებები მიიღო. საკრებულოს სხდომას საიას დამკვირვებელიც ესწრებოდა.

დაპირისპირების სავარუდო მიზეზი გია უკლებას მიერ სოციალურ ქსელში გავრცელებული პოსტები გახდა, რომლებიც უკავშირდება სალომე ზურაბიშვილისა და მისი მხარდამჭერების მიმართ შეურაცხმყოფელ განცხადებებს. ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლების განცხადებით, დაპირისპირება იყო დადგმული და რეალურად უკავშირდებოდა ა.წ. 18 სექტემბერს გიორგი ჭიღვარიასთან დაკავშირებით გაკეთებულ განცხადებებს. სხდომის დაწყების შემდეგ საკითხის განხილვა სიტყვიერი დაპირისპირების ფონზე მიმდინარეობდა, გაჟღერდა პროვოკაციული განცხადებებიც.

მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოძიება დაიწყო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლით, რაც ძალადობას გულისხმობს. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, შესაძლოა, დანაშაულის ჩადენა დაკავშირებული იყოს საკრებულოს ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წევრის პოლიტიკურ შეხედულებებთან, ამიტომ, უკიდურესად მნიშვნელოვანია, რომ ბრალდებისა და გამოძიების ორგანოებმა გამოძიების საწყის ეტაპზევე სათანადო ყურადღება მიაქციონ აღნიშნულ გარემოებას - გამოიკვლიონ საქმეში არსებული შესაძლო პოლიტიკური მოტივი და მისი დადასტურების შემთხვევაში, საქმეს მიანიჭონ შესაბამისი კვალიფიკაცია (მაგალითად, საქმე გადაკვალიფიცირდეს დევნაზე, სსკ-ის 156-ე მუხლი).

აგრეთვე, აღსანიშნავია, რო, მედიაში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ქუთაისის მერიის ეკონომიკის სამსახურის უფროსი ,,ქუთაისიპოსტის" კამერას ხელს აფარებდა, რათა ჟურნალისტებს საკრებულოში ა.წ. 19 სექტემბერს ჩხუბის ამსახველი კადრები არ გადაეღოთ, ხოლო საკრებულოს დეპუტატი ,,ქართული ოცნებიდან"კი, შეეცადა ჟურნალისტები სხდომათა დარბაზიდან არ გამოეშვა.

მიგვაჩნია, რომ „ქუთაისიპოსტის“ ჟურნალისტის მიმართ იკვეთება სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნები. კერძოდ, სავარაუდოდ, ადგილი აქვს სისხლის სამართლის კოდექსის 154-ე მუხლით გათვალისწინებულ **ჟურნალისტისათვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლას - იძულებას, ჟურნალისტმა თავი შეიკავოს ინფორმაციის გავრცელებისაგან.**

ტექნიკური საპრეზიდენტო კანდიდატები



2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნებისთვის 10-მა ოპოზიციურმა პარტიამ გაერთიანება „ძალა ერთობაშია“ დააფუძნა. აღნიშნული პარტიები გახლავთ: „ახალი საქართველოსთვის,“ „ემსახურე საქართველოს,“ „ეროვნულ-დემოკრატიული პარტია,“ „სახელმწიფო ხალხისთვის,“ „ქრისტიან-კონსერვატიული პარტია,“ „ახალი საქართველო,“ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა,“ „სამოქალაქო ალიანსი თავისუფლებისთვის,“ „ევროპელი დემოკრატები“ და „საქართველო ლიდერთა შორის.“

გაერთიანებაში შემავალმა პარტიებმა განაცხადეს, რომ საპრეზიდენტო არჩევნებზე მათ საერთო კანდიდატი, გრიგოლ ვაშაძე ჰყავთ, რომელიც საზოგადოებას 17 ივლისს წარუდგინეს. მოგვიანებით, გაერთიანებაში შემავალმა პარტიამ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ გრიგოლ ვაშაძე, პრეზიდენტობის კანდიდატად ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში წარადგინა.

უნდა აღინიშნოს, რომ გარდა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა“, ოპოზიციურ გაერთიანებაში შემავალმა კიდევ ოთხმა პარტიამ ინდივიდუალურად მიმართა საარჩევნო ადმინისტრაციას და საპრეზიდენტო კანდიდატები წარადგინა: „ეროვნულ-დემოკრატიულ პარტია“ - ზვიად იაშვილი, „სახელმწიფო ხალხისთვის“ - მიხეილ ანთაძე, „ქრისტიან-კონსერვატიული პარტია“-ზვიად მეხატიშვილი და „ახალი საქართველო“-ზვიად ბაღდავაძე.

როგორც გრიგოლ ვაშაძის საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელმა მედიასთან საუბარში განმარტა, ასეთი ნაბიჯი მათი საარჩევნო სტრატეგიის ნაწილია და ოთხი კანდიდატი ტექნიკური კანდიდატებია: *„იმისთვის, რომ მოვახდინოთ გაყალბების პრევენცია, მეტი წარმომადგენლობა გვყავდეს ყველა საარჩევნო დონეზე, აქედან გამომდინარე, ჩვენ ტექნიკურად ვარეგისტრირებთ კანდიდატებს, რომ ეს ყველა სიკეთე, რაც მოსდევს კვალიფიციურ სუბიექტს, იქნას გამოყენებული, რომ მოვახდინოთ არჩევნების გაყალბების პრევენცია. ეს ნიშნავს იმას, რომ თითო კვალიფიციურ სუბიექტზე გვეყოლება ერთი წარმომადგენელი, რომლის საშუალებითაც მოვახდენთ გაყალბების პრევენციას. სარეკლამო დროის თვალსაზრისითაც გამართლებულია მსგავსი ნაბიჯი.“*

საარჩევნო კანონმდებლობით, ცესკოში რეგისტრირებულ პარტიას, ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფს უფლება აქვთ წარადგინონ საქართველოს პრეზიდენტობის თითო კანდიდატი.[4]

გაერთიანებაში შემავალი პარტიების მიერ არჩევნებში ინდივიდუალურად მონაწილეობით კანონმდებლობა არ ირღვევა, თუმცა საპრეზიდენტო კანდიდატის წარდგენის წესი პრობლემურია და ის ცვლილებას საჭიროებს. არსებული რეგულაციები ქმნის არასწორ სტიმულებს პოლიტიკური გაერთიანებებისთვის „ტექნიკური“ საპრეზიდენტო კანდიდატების წარსადგენად, რომლის ძირითადი მიზანი დამატებითი სახელმწიფო დაფინანსების და სხვა პრივილეგიების მოპოვებაა. აღნიშნული გარემოება ტვირთად აწვება სახელმწიფო ბიუჯეტს, ასევე არ ქმნის თანაბარ პირობებს არჩევნებში მონაწილე სხვა სუბიექტებთან მიმართებით.

[4] საარჩევნო კოდექსი. მუხლი 98.1

ხარვეზები საპრეზიდენტო კანდიდატების მხარდამჭერთა სიებში

ა.წ. 18 სექტემბერს, ცესკომ განცხადება გააკეთა და ოპოზიციური პოლიტიკური გაერთიანებების „მოძრაობა სახელმწიფო ხალხისათვის“ და „ეროვნულ დემოკრატიული პარტია“ საპრეზიდენტო კანდიდატების მხარდამჭერთა სიებში ხელმოწერების გაყალბებასთან დაკავშირებით მედიაში გავრცლებულ ინფორმაციაზე ისაუბრა.

ცესკოს განცხადებით, პოლიტიკური გაერთიანების „მოძრაობა სახელმწიფო ხალხისთვის“ მიერ წარდგენილი პრეზიდენტობის კანდიდატის მიხეილ ანთაძის მხარდამჭერთა სიაში პრემიერ-მინისტრ მამუკა ბახტაძის მონაცემები და ხელმოწერა დაფიქსირდა. თუმცა, ცესკო-ს ცნობით, მხარდამჭერთა ბლანკზე არსებული ხელმოწერა სრულიად განსხვავდებოდა მამუკა ბახტაძის ცესკოში არსებულ და საჯაროდ ცნობილი ხელმოწერისგან. ასევე, ცესკოში განაცხადეს, რომ დაფიქსირებულია საოლქო საარჩევნო კომისიის წევრის განცხადება „ეროვნულ დემოკრატიული პარტიის“ კანდიდატის მხარდამჭერთა სიაში მისი ხელმოწერის არაერთგზის გაყალბებასთან დაკავშირებით.
ცესკომ მიმართა პროკურატურას და გამოძიების დაწყება მოითხოვა.

საქართველოს მთავარ პროკურატურაში გამოძიება დაიწყო პოლიტიკური გაერთიანება „სახელმწიფო ხალხისთვის“ პრეზიდენტობის კანდიდატის მხარდამჭერთა სიის შესაძლო გაყალბების ფაქტზე, სისხლის სამართლის კოდექსის 362-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით.

პრემიერ მინისტრმა „უმსგავსობა“ უწოდა საპრეზიდენტო კანდიდატის მხარდამჭერთა სიაში მისი ხელმოწერის გაყალბებას. ნიკა მაჭუტაძე, რომლის პარტიის მხარდამჭერებში ცესკომ პრემიერის გვარი აღმოჩინა, განაცხადა, რომ მას პროვოკაცია მოუწყვეს და წარდგენილ სიებში პრემიერის გვარი განზრახ ჩაწერეს. „ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის“ ხელმძღვანელის ბაჩუკი ქარდავას მოსაზრებით, სიების საგამოძიებო უწყებაში გადაგზავნა ცესკოს მხრიდან ახალი პრაქტიკაა და ცენტრალურ საარჩევნოს კომისიას რეალურად ხელისუფლება და სუს-ი მართავს.

მიგვაჩნია, რომ მხარდამჭერთა ხელმოწერების შეგროვებისა და გადამოწმების პროცესი ხარვეზიანია და გადახედვას საჭიროებს. მნიშვნელოვანია, მხარდამჭერთა სიების შედგენის პროცესში არსებობდეს ამომრჩევლის პერსონალური მონაცემების დაცვის მაღალი სტანდარტი, ასევე შემუშავდეს მხარდამჭერთა ხელმოწერებიბს შეგროვებისა და მათი გადამოწმების ისეთი დამატებითი მექანიზმები, რაც გაზრდის ნდობას პროცესის მიმართ და მოახდენს ამომრჩევლის ხელმოწერებით რაიმე სახით მანიპულაციის პრევენციას.

სადამკვირვებლო ორგანიზაციების დისკრედიტაციისა და მათზე ზეწოლის მცდელობა

საანგარიშო პერიოდში **ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციების მიმართ საარჩევნო პროცესებში ჩართული სახელმწიფო დაწესებულებების მხრიდან არაერთი დაუსაბუთებელი კრიტიკული მოსაზრება გაჟღერდა**, რაც **სცდება ეთიკურ ზღვარს და ქმნის არასამთავრობო სექტორის მიზანმიმართული დისკრედიტაციის მცდელობის შთაბეჭდილებას.** მიმდინარე წლის 21 აგვისტოს, ცესკოს თავმჯდომარემ საია-ს მიერ მომზადებულ დოკუმენტს „არასერიოზული“ და „არაპროფესიონალური“ უწოდა.

ამავე წლის 24 აგვისტოს, უწყებათაშორისი კომისიის სხდომაზე თეა წულუკიანი საიას საარჩევნო კომისიების დაკომპლექტების მონიტორინგის ანგარიშით დაინტერესდა და განაცხადა, რომ „მეთოდის შესახებ მოცემულ დოკუმენტში საუბარი არ არის, რის გარეშეც წარმოუდგენელია არსებობდეს სერიოზული კვლევის დოკუმენტი.“
ა.წ. 14 სექტემბერს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ ISFED-ს 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების წინასაარჩევნო მონიტორინგის პირველ შუალედურ ანგარიშში შეტანილი „არასწორი და არაკვალიფიციური ინფორმაციისა და შეფასებების“ ანგარიშიდან ამოღება მოსთხოვა.

ზემოაღნიშნულ უსაფუძვლო და არაეთიკურ ბრალდებებს საია **და** ISFED-ი **გამოეხმაურნენ,** თუმცა მნიშვნელოვნად მიგვაჩნია, კიდევ ერთხელ დავაფიქსიროთ ჩვენი მოსაზრება. კერძოდ, **დაუშვებელია ადმინისტრაციული ორგანოების მხრიდან მსგავსი დესტრუქციული, არაკოლეგიალური, დაუსაბუთებელი და საფუძველს მოკლებული განცხადებები არასამთავრობო სექტორის მიმართ. განსაკუთრებით კი, სადამკვირვებლო ორგანიზაციების მიმართ წინასაარჩევნო პერიოდში.** აღნიშნული ქმნის საფუძვლიან ვარაუდს, რომ მიზანმიმართულად ხდება მრავალწლიანი გამოცდილების მქონე სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების დისკრედიტაციისა და მათზე ზეწოლის მცდელობა. რაც დადებითად არ აისახება ჩვენს ქვეყანაში დემოკრატიული პროცესების განვითარებაზე. აღნიშნულზე ყურადღება ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის დელეგაციის წევრებმაც გაამახვილეს და ხაზი გაუსვეს სამოქალაქო სეტქორის მნიშვნელობას დემოკრატიისათვის.

კიდევ ერთხელ მოვუწოდებთ შესაბამის პირებს, თავი შეიკავონ არაეთიკური და საფუძველს მოკლებული, დაუსაბუთებელი განცხადებებისგან. იყვნენ კონსტრუქციულები და წარმართონ საგნობრივი დისკუსია, რომელიც ხელს შეუწყობს ჯანსაღ საარჩევნო გარემოს და ქვეყნაში დემოკრატიული პროცესების განვითარებას.

მემორანდუმი ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების შესახებ

ა.წ. 14 სექტემბერს, საიას, სხვა ადგილობრივ სადამკვირვებლო არასამთავრობო ორგანიზაციებს, ცესკოსა და „თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორის კომისიას“ შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმება ცესკოსა და ადგილობრივ სადამკვირვებლო ორგანიზაციებს შორის ბოლო რამდენიმე საარჩევნო ციკლია, რაც ხორციელდება და მის ტექნიკურ მხარდაჭერას „საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდი“ (IFES) უზრუნველყოფს. ტრადიციულად, მემორანდუმზე ხელმოწერით ხელმომწერი მხარეები ვთანხმდებით, რომ წინასაარჩევნო აგიტაციასთან მიმართებაში, ასევე. ადმინისტრაციული და სასამართლო საქმის წარმოების დროს სწორედ მემორანდუმში მითითებული განმარტებებით ვიხელმძღვანელებთ.

მემორანდუმის ტექსტზე მუშაობისას, სადამკვირვებლო ორგანიზაციებმა მოვითხოვეთ სოციალურ ქსელებში აგიტაციაზე ჩანაწერის დამატება, რათა აღმოფხვრილიყო სოციალური მედიის მეშვეობით კანონდარღვევების შესაძლებლობა. მიგვაჩნია, რომ სოციალური ქსელები მძლავრი ინსტრუმენტია ამომრჩევლის ნებაზე ზეგავლენის მოსახდენად და ამ ქსელებით აგიტაცია არჩევნების მზარდ გამოწვევას წარმოადგენს. თავდაპირველად საკითხის ირგვლივ ვერ მოხდა ცესკოსთან შეთანხმება. უნდა აღინიშნოს, რომ ცესკომ ბოლო სარჩევნო ციკლის პერიოდში ვერ უზრუნველყო ამ კუთხით კანონის პროგრესული განმარტება. შესაბამისად, გარკვეული ფაქტები სამართლებრივი რეაგირების გარეშე დარჩა .[5]

გარდა ზემოაღნიშნულისა, არასამთავრობო ორგანიზაციებმა საარჩევნო ადმინისტრაციის წინაშე დავაყენეთ ისეთი საკითხების გადაწყვეტის საჭიროება, როგორიცაა საარჩევნო დავების განხილვის სრულყოფილად და ობიექტურად წარმართვა, ასევე, საარჩევნო ადმინისტრაციის მხრიდან ადგილობრივ სადამკვირვებლო ორგანიზაციებისათვის პატივისცემა და მათი საქმიანობისთვის სათანადო პირობების შექმნა.

გაიმართა რამდენიმე სამუშაო შეხვედრა იმისათვის, რათა სოციალურ მედიაში აგიტაციის საკითხთან დაკავშირებით მომხდარიყო ცესკოსა და სამოქალაქო ორგანიზაციების პოზიციათა თანხვედრა. სადამკვირვებლო ორგანიზაციებმა შევთავაზეთ ცესკოს, რომ საჯარო მოხელეების მიერ სამუშაო საათების განმავლობაში ან/და უშუალოდ სამსახურებრივი ფუნქციების შესრულებისას სოციალური ქსელების, მათ შორის, პირადი ანგარიშის/გვერდის საშუალებით განხორციელებული აგიტაცია წინასაარჩევნო აგიტაციად განმარტებულიყო. ცესკომ გამოხატა მზაობა მომხდარიყო სოციალური ქსელების პირადი გვერდების მეშვეობით აგიტაციის, როგორც პრობლემის აღიარება, თუმცა შემოგვთავაზა ამ საკითხის ალტერნატიული განმარტება: ცესკომ შემოგვთავაზა, საჯარო მოხელეების მიერ სახელმწიფო რესურსების გამოყენებით პირადი სოციალური გვერდებიდან აგიტაცია ასახულიყო მემორანდუმში, როგორც ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების ერთ-ერთი სახეობა.[6] საბოლოოდ, ცესკოს მიერ შემოთავაზებული ფორმულირება მემორანდუმის ტექსტში აისახა.

მიუხედავად იმისა, რომ ცესკომ არ გაიზიარა ჩვენს მიერ შეთავაზებული ფორმულირება, საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ სოციალური ქსელით აგიტაციის, როგორც გამოწვევის აღიარება - მნიშვნელოვანია და დადებითად უნდა შეფასდეს.

---

5 მაგ: 2016 და 2017 წლების არჩევნებზე უცხო ქვეყნის მოქალაქეების - მიხეილ სააკაშვილის და ანდრეი შევჩენკოს მხრიდან აგიტაციაში მონაწილეობა და 2017 წლის თვითმმართველობის არჩევნებზე სოციალური ქსელების მეშვეობით საჯარო მოხელეთა მხრიდან სამუშაო საათების განმავლობაში აგიტაცია.

6 კერძოდ, ცესკოს განმარტებით, აკრძალულიყო სახელმწიფო ხელისუფლების დაწესებულებებისათვის ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და ბიუჯეტიდან დაფინანსებული ორგანიზაციებისათვის განკუთვნილი საკომუნიკაციო საშუალებების (მათ შორის ელ-ფოსტა), საინფორმაციო მომსახურებისა (მათ შორის ოფიციალური ვებ-გვერდი ან/და ბიუჯეტის სახსრებით ადმინისტრირებული სოციალური მედია) და სხვადასხვა სახის ტექნიკის (მათ შორის ზემოხსენებული საკომუნიკაციო საშუალებებისა და სხვადასხვა სახის ტექნიკის გამოყენების გზით პირად სოციალურ ქსელებში წინასაარჩევნო კამპანიის (აგიტაციის) ნიშნების შემცველი ინფორმაციის განთავსება) გამოყენება.

მედია გარემო

მედია-კავშირი „ობიექტივის" დაჯარიმება

ა.წ. 9 აგვისტოს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ ა(ა)იპ „არასამეწარმეო მედია-კავშირი ობიექტივი" 3132,36 ლარით დააჯარიმა.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია ა(ა)იპ ,,მედია კავშირი ობიექტივის" მიმართ მიღებულ გადაწყვეტილებაში ეყრდნობა ,,მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის 66[1] მუხლს, რომლის თანახმადაც *,,აკრძალულია პოლიტიკური პარტიის მიერ მაუწყებლის დაფინანსება, აგრეთვე მისი მომსახურების შესყიდვა და მაუწყებლის პროგრამების მომზადების ან/და ეთერში გადაცემის პირდაპირი ან ირიბი დაფინანსება ან თანადაფინანსება."* ამავე დროს, საარჩევნო კოდექსის 50-ე მუხლი ადგენს მედიის მიერ წინასაარჩევნო კამპანიის გაშუქების ზოგად რეგულირებებს, სადაც მითითებულია საარჩევნო პერიოდში რეკლამის განთავსებისას რა ვალდებულებები აქვს მაუწყებელს. შესაბამისად, პოლიტიკური რეკლამის განთავსება პოლიტიკურ პარტიას სხვა დროსაც შეუძლია და ,,მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის 66[1] მუხლში მითითებულ მომსახურების შესყიდვაში არ მოიაზრება პოლიტიკური რეკლამის განთავსება.
ამასთან, ,,მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის 66[1] მუხლი მიღებული იქნა 2013 წელს და მასში ცვლილება არ განხორციელებულა. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ კი პოლიტიკური რეკლამის არასაარჩევნო პერიოდში განთავსებაზე მიდგომა 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების მეორე ტურიდან ყოველგვარი მითითების გარეშე შეცვალა.

აღსანიშნავია, რომ თავდაპირველად საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ ა(ა)იპ „არასამეწარმეო მედია-კავშირი ობიექტივი" ამავე საფუძვლით 2017 წლის 24 აგვისტოს გააფრთხილა.

კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ ნორმის ახლებურად წაკითხვა ეწინააღმდეგება მანამდე არსებულ პრაქტიკას და ხდება მოქმედი კანონმდებლობის არასწორი განმარტება. არაწინაარჩევნო პერიოდში პოლიტიკური პარტიებისათვის პოლიტიკური რეკლამის მაუწყებლის ეთერში გაშვების აკრძალვა ფაქტიურად წარმოადგენს გამოხატვის თავისუფლების წინააღმდეგ მიმართულ ქმედებას და არაწინასაარჩევნო პერიოდში პოლიტიკური ძალებისთვის მედია სივრცის შეზღუდვას. ამასთან, მიგვაჩნია, რომ საქართველოში არსებული პოლიტიკური კულტურიდან გამომდინარე, აუცილებელია პარტიებს ჰქონდეთ შესაძლებლობა ამომრჩეველთან კომუნიკაცია დაამყარონ, როგორც საარჩევნო პერიოდში, ისე არჩევნების შემდგომაც.

კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ შპს ,,სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“-სთვის სამართალდარღვევათა ოქმის შედგენა

კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ, ა.წ. 15 და 16 აგვისტოს, ეთერში პოლიტიკური/წინასაარჩევნო რეკლამის კანონმდებლობით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევით განთავსების გამო ,შპს ,,სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“-ს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი შეუდგინა. კომისია სამაუწყებლო კომპანიას საქართველოს საარჩევნო კოდექსის 50-ე მუხლის მოთხოვნების დარღვევას ედავება. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული მუხლი არეგულირებს მედიის მიერ წინასაარჩევნო კამპანიის გაშუქებას და მითითებულია ვალდებულებები, რომელიც კენჭისყრამდე არაუგვიანეს 50-ე დღიდან წარმოიშობა.

საარჩევნო კოდექსის 45-ე მუხლის თანახმად, წინასაარჩევნო კამპანია იწყება კენჭისყრამდე 60 დღით ადრე. 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების თარიღია ამავე წლის 28 ოქტომბერი და შესაბამისად, საარჩევნო კოდექსის 50-ე მუხლით გათვალისწინებული ვალდებულებები მედიას არაუადრეს 2018 წლის 29 აგვისტოდან და არაუგვიანეს 08 სექტემბრიდან წარმოეშობა.

რაც შეეხება კომისიის განმარტებას, საარჩევნო პერიოდის 2018 წლის 1 აგვისტოს დაწყებასთან დაკავშირებით, სწორია. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ საარჩევნო კოდექსის 50-ე მუხლის მოთხოვნები ეხება წინასაარჩევნო კამპანიას და არა საარჩევნო პერიოდს. წინასაარჩევნო კამპანია კი, როგორც უკვე აღინიშნა, დაიწყო ა.წ. 29 აგვისტოს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კომისიის მხრიდან შპს ,,სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2-ის“ მიმართ სამართალდარღვევათა ოქმის შედგენა წინააღმდეგობაში მოდის საქართველოს საარჩევნო კოდექსთან.

კომუნიკაციების ეროვნული კომისიის განმარტება საზოგადოებრივი აზრის კვლევის გამოქვეყნებაზე

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია საზოგადოებრივი აზრის კვლევის გამოქვეყნების საკითხთან დაკავშირებით ხელმძღვანელობს საქართველოს საარჩევნო კოდექსის 51-ე მუხლით, რომელიც ადგენს თუ რას უნდა აკმაყოფლებდეს აღნიშნული კვლევა. მოთხოვნები ორ ნაწილად შეიძლება დავყოთ:

1. რა უნდა მიეთითოს საზოგადოებრივი აზრის კვლევის გამოქვეყნებისას (საარჩევნო კოდექსის 51-ე მუხლის მე-11 პუნქტის ,,ვ” ქვეპუნქტი);
2. რა მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს საზოგადოებრივი აზრის კვლევა, მათ შორის კვლევის მეთოდოლოგიის საიმედოობისა და შედეგების ობიექტურად გადამოწმების კუთხით (საარჩევნო კოდექსის 51-ე მუხლის მე-11 პუნქტი ,,ა-ე” ქვეპუნქტი).

სადავო არ არის, რომ სავალდებულოა გამოქვეყნებისას საჭირო მითითებების გაკეთება. თუმცა კითხვები ჩნდება საარჩევნო კოდექსის 51-ე მუხლის მე-11 პუნქტის ,,ა-ე” ქვეპუნქტებთან დაკავშირებით.

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის განმარტების თანახმად, საზოგადოებრივი აზრის კვლევის დამკვეთ მაუწყებელზე ვრცელდება „საარჩევნო კოდექსის” 51-ე მუხლის მე-11 პუნქტის ,,ა-ე” ქვეპუნქტებით დადგენილი ვალდებულებებიც. აღსანიშნავია, რომ კომისიის მიერ კვლევის ჩატარებასთან დაკავშირებით სიღრმისეული დეტალების გადამოწმება პრაქტიკაში შეუძლებელია. ამავდროულად, ხდება მარეგულირებლის მიერ თვითრეგულირებას მიკუთვნებული საკითხის რეგულირების სფეროში გადმოტანა. არსებობს რისკიც, რომ მოქალაქეებმა აღარ მიიღონ კვლევაში მონაწილეობა, ვინაიდან შესაძლოა ადმინისტრაციული ორგანოსთვის ცნობილი გახდეს კვლევაში მონაწილე პირების მიერ დაფიქსირებული პოზიცია კონკრეტული პარტიის/პირის მხარდაჭერისა თუ წინააღმდეგობის შესახებ.

კითხვებს ბადებს ის ფაქტიც, რომ აღნიშნული ნორმა მიღებული იქნა 2006 წელს და მას შემდეგ ცვლილება არ განუცდია. კომისია კი დღეს არსებულ განმარტებას მხოლოდ 2016 წლიდან აკეთებს.

შესაბამისად, მარეგულირებლის მხრიდან ამ ნორმის (საზოგადოებრივი აზრის კვლევის დამკვეთ მაუწყებელზე „საარჩევნო კოდექსის” 51-ე მუხლის მე-11 პუნქტის ,,ა-ე” ქვეპუნქტებით დადგენილი ვალდებულებების გავრცელება) ამ შინაარსით წაკითხვა მიუღებელია. აღნიშნული განმარტება შეიცავს კომისიის მხრიდან დისკრიმინაციული მიდგომისა და საზოგადოებრივი აზრის კვლევის ჩატარების გართულების რისკებს. ამასთან, მიგვაჩნია, რომ კვლევაზე პასუხისმგებელი უნდა იყოს კვლევითი ორგანიზაცია და პასუხისმგებლობის მედიაზე გადატანა დაუშვებელია.

#საია #მეაქვარ

#არჩევნები2018

GYLA_CSO GYLA.ge www.gyla.ge

USAID | GEORGIA
FROM THE AMERICAN PEOPLE

საინფორმაციო ბიულეტენის მომზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის მხარდაჭერის წყალობით, რომელიც აშშ¬ -ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მეშვეობით იქნა გაწეული. საინფორმაციო ბიულეტენში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას და შესაძლებელია არ გამოხატავდეს USAID- ის და აშშ- ის მთავრობის შეხედულებებს.

THIS NEWS LATTER WAS MADE POSSIBLE BY THE GENEROUS SUPPORT OF THE AMERICAN PEOPLE THROUGH THE UNITED STATES AGENCY FOR INTERNATIONAL DEVELOPMENT (USAID). THE OPINIONS EXPRESSED IN THIS NEWS LATTER BELONG TO GYLA AND MAY NOT REFLECT THE OPINIONS OF THE DONOR.